დამტკიცებულია

რექტორის 2019 წლის 28 ივნისის № 62 ბრძანებით

ცვლილებები შესულია რექტორის 29.05.20 წლის №26 ბრძანებით

ცვლილებები შესულია რექტორის 01.02.2023 წლის №3 ბრძანებით

სსიპ - ააიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის ფაკულტეტებისა და კათედრების

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ფაკულტეტის სტატუსი

1. ააიპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (ტექსტში შემდგომ - თსას-ი) ფაკულტეტი (შემდგომში „ფაკულტეტი“) წარმოადგენს თსას-ის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც თსას-ის წესდებისა და სხვა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებსა და კვლევებს (შესაბამის დარგში), უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

მუხლი 2. ფაკულტეტის დებულების მოქმედება

1. წინამდებარე დებულება განსაზღვრავს ფაკულტეტის ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციის სფეროებს, მისი საქმიანობის განხორციელების წესსა და უფლება-მოვალეობებს.

2. ფაკულტეტის დებულება შესასრულებლად სავალდებულოა ფაკულტეტის პერსონალისათვის.

მუხლი 3. ფაკულტეტის ამოცანები

1. ფაკულტეტის ძირითადი ამოცანები:

ა) თანამედროვე სტანდარტების შესატყვის, ხარისხიან განათლებაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კონკურენტუნარიანი და მაღალ-კვალიფიციური, ეკლესიური ცნობიერების სპეციალისტების მომზადება სწავლების შესაბამის საფეხურზე, სისტემური ცოდნის აკუმულირება და გადაცემა;

ბ) ფუნდამენტური და გამოყენებითი სამეცნიერო კვლევებითა და სწავლებით აკადემიის ტრადიციების განვითარება;

გ) მეცნიერული კვლევის შედეგების სასწავლო პროცესში გამოყენება;

დ) ფაკულტეტის ინტელექტუალური პოტენციალის გამოყენება პრიორიტეტული საგანმანათლებლო და სამეცნიერო პრობლემატიკის დამუშავებისათვის;

ე) სამეცნიერო პერსონალის მომზადება;

ვ) თსას-ის პრორექტორთან სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში და რექტორთან შეთანხმებით, საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;

ზ) საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სტუდენტთა ხელშეწყობა, შესაბამისი აკადემიური გარემოს შექმნა, სათანადო რესურსების დაგეგმვა და მართვა;

თ) სტუდენტისა და პროფესორის პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა;

ე) საეკლესიო ეთიკის ნორმების ზედმიწევნითი დაცვა.

მუხლი 4. ფაკულტეტები, სტრუქტურა და მართვის ორგანოები

1. თსას-ის ფაკულტეტები წარმოადგენენ თსას-ის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სტუდენტთა მომზადებას ერთ ან რამდენიმე სპეციალობაში და მათთვის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებას.

2. თსას-ის ფაკულტეტებია:

- თბილისის სასულიერო სემინარია;

- ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი;

- ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი;

- საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტი;

- თბილისის სასულიერო აკადემია;

2.1. თბილისის სასულიერო სემინარია წარმართავს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების პირველი საფეხურის *თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამას* და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის დაგროვების შემდგომ სტუდენტს ანიჭებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილ შესაბამის კვალიფიკაციას.

2.2. ქრისტიანული ფსიქოლოგიის ფაკულტეტი წარმართავს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების პირველი საფეხურის *ქრისტიანული ფსიქოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამას* და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის დაგროვების შემდგომ

სტუდენტს ანიჭებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილ შესაბამის კვალიფიკაციას.

2.3. ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტი წარმართავს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების პირველი საფეხურის *ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამას* და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის დაგროვების შემდგომ სტუდენტს ანიჭებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილ შესაბამის კვალიფიკაციას.

2.4. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარის საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის ფაკულტეტი წარმართავს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების პირველი საფეხურის საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების), ხატწერის, დაზგური და მონუმენტური ხატწერის რესტავრაციის საგანმანათლებლო პროგრამას და საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტის დაგროვების შემდგომ სტუდენტს ანიჭებს სწავლის სფეროთა კლასიფიკატორით დადგენილ შესაბამის კვალიფიკაციას.

2.5. თბილისის სასულიერო აკადემია (ფაკულტეტი) - წარმართავს უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლების მეორე და მესამე საფეხურის თეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამას. მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებისა და სადიპლომო ნაშრომის დაცვის შემდგომ, აღნიშნული ფაკულტეტი ანიჭებს სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილ შესაბამის კვალიფიკაციას. მესამე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტების დაგროვებისა და სადოქტორო ნაშრომის დაცვის შემდგომ, სწავლის სფეროების კლასიფიკატორით დადგენილ შესაბამის კვალიფიკაციას/ხარისხს ანიჭებს სადისერტაციო საბჭო.

დოქტორანტურის სტრუქტურა და მართვა განსაზღვრულია ,,თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით''.

3. ფაკულტეტის მართვის ორგანოებია: ფაკულტეტის საბჭო და დეკანი.

4. ფაკულტეტზე იქმნება კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისია.

5. კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის მუშაობის წესსა და რეგლამენტს ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ამტკიცებს დეკანი.

6. ფაკულტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია კათედრები, რომელნიც ანგარიშვალდებულნი არიან თსას-ის პრორექტორის (სამეცნიერო დარგში) წინაშე.

7. კათედრის ფუნქცია და მუშაობის წესი განისაზღვრება წინამდებარე დებულებით.

თავი II

ფაკულტეტის საბჭო

მუხლი 5. ფაკულტეტის საბჭოს ფორმირება

1. ფაკულტეტის საბჭო არის ფაკულტეტის წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის ფორმირების წესი განისაზღვრება ამ დებულებით;
2. ფაკულტეტის საბჭოს ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით ამტკიცებს რექტორი;

3. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტის საბჭოს წევრის სტატუსით შედის ფაკულტეტის დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სულიერი მოძღვარი;
4. ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ფაკულტეტის წევრის სტატუსით შედის თსას-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი, რომელსაც წარადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარეობს ფაკულტეტის დეკანი, რომლის არყოფნის შემთხვევაში თავმჯდომარის ფუნქციას ასრულებს კომისიის ერთ-ერთი წევრი, კომისიის დამსწრე წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებითა და რექტორთან შეთანხმებით;
6. განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საბჭოში მოწვეული წევრის სტატუსითა და ხმის უფლებით მოიწვიოს კათედრის ხელმძღვანელი;
7. განსახილველი საკითხიდან გამომდინარე, ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საბჭოში მოწვეული წევრის სტატუსით ხმის უფლების გარეშე მოიწვიოს სტუდენტი;
8. ფაკულტეტის საბჭოს წევრი სამსახურიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს კომისიის წევრობის უფლებას. მის ნაცვლად დეკანი, პრორექტორთან (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) შეთანხმებით, რექტორს დასამტკიცებლად წარუდგენს სხვა კანდიდატურას.

მუხლი 6. ფაკულტეტის საბჭოს უფლებამოსილებები

ფაკულტეტის საბჭო:

1. შეიმუშავებს და სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის ფუნქციონირებისათვის საჭირო წესსა და ინსტრუქციებს;
2. დეკანის წარდგინებით განიხილავს და სამეცნიერო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს;

3. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს ისმენს დეკანის ანგარიშს ფაკულტეტზე გაწეული მუშაობის შესახებ;

4. შეიმუშავებს შესაბამისი საფეხურის შესატყვის აკადემიურ პროგრამას, განსაზღვრავს პროგრამის შესაბამისად მისანიჭებელ კვალიფიკაციას და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს;

5. აკადემიური პროგრამებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს აკადემიური პროგრამებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმს, განსაზღვრავს მისი განხორციე-ლების წესსა და ვადას და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს;

6. თსას-ის ხარისხის სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში შეიმუშავებს საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსებსა და კურიკულუმებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს;

7. ადგენს ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ავტორიზაციით განსაზღვრული კვოტის ფარგლებში და დასამტკიცებლად წარუდგენს სამეცნიერო საბჭოს;

8. სტუდენტის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების გამო, რაც გათვალისწინებულია თსას-ის შინაგანაწესით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ წინადადებით მიმართავს სამეცნიერო საბჭოს;

9. დადგენილ ვადაში ადგენს ფაკულტეტის ბიუჯეტის პროექტს და წარუდგენს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს;

10. თავისი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს პრორექტორისა (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) და რექტორის

ლოცვა-კურთხევით, თსას-ის წესდებით, სასწავლებლის სამართლებრივი აქტებით და საქართველოს კანონმდებლობით;

მუხლი 7. ფაკულტეტის საბჭოს ფუნქციონირების პროცედურული საკითხები

1. ფაკულტეტის საბჭო პირველ სხდომაზე საბჭოს წევრი აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს ფაკულტეტის საბჭოს მდივანს. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის ფუნქციაა ფაკულტეტის საბჭოს საქმისწარმოების ორგანიზება. ფაკულტეტის საბჭოს მდივნის სხდომაზე არყოფნის შემთხვევაში მის ფუნქციას პრორექტორთან (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) შეთანხმებით ასრულებს აკადემიური პერსონალის შემადგენლობიდან ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეული საბჭოს რიგითი წევრი;

2. ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, დეკანის მითითებით, ამზადებს საბჭოს მდივანი. ფაკულტეტის საბჭოს წევრებს შეუძლიათ საბჭოს მდივნისათვის დღის წესრიგის პროექტში გასათვალისწინებელი საკითხების მიწოდება წერილობით. ფაკულტეტის საბჭოს მდივანი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის თარიღამდე სამი დღით ადრე აქვეყნებს ფაკულტეტის საბჭოს სხდომის დღის წესრიგის პროექტს;

3. ფაკულტეტის საბჭო სხდომის დაწყებისთანავე ღია კენჭისყრით ამტკიცებს დღის წესრიგს;

4. ფაკულტეტის საბჭოს წევრი ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში ავტომატურად კარგავს ფაკულტეტის საბჭოს წევრობის უფლებას;

5. ფაკულტეტის საბჭო სხდომებს ატარებს კალენდარული თვის მეოთხე კვირაში. საჭიროებიდან გამომდინარე, თსას-ის პრორექტორთან (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) შეთანხმებით, საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია რიგგარეშე სხდომის მოწვევა;

6. ფაკულტეტის საბჭო თავისი კომპეტენციის ფარგლებში უფლებამოსილია განიხილოს საკითხი, თუ სხდომას ესწრება საერთო შემადგენლობის 2/3;

7. სადავო საკითხის არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია შექმნას სპეციალური კომისია/სამუშაო ჯგუფი, რომელსაც ევალება ფაკულტეტის კონკრეტული სადავო საკითხების შესწავლა, შესაბამისი დასკვნის მიღება და ფაკულტეტის საბჭოსთვის მისი წარდგენა. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს სამეცნიერო საბჭო;

8. ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე კენჭისყრა არის ღია;

9. ფაკულტეტის საბჭოს ყოველი სხდომის შესახებ იწერება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.

თავი III ფაკულტეტის დეკანი

მუხლი 8. ფაკულტეტის დეკანის სტატუსი

ფაკულტეტს ხელმძღვანელობს ფაკულტეტის დეკანი.

მუხლი 9. ფაკულტეტის დეკანის დანიშვნის წესი

1. თსას-ის ფაკულტეტის დეკანი შეიძლება იყოს დოქტორის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე სასულიერო ან საერო პირი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი. ამ წესიდან გამონაკლისს ადგენს თსას-ის რექტორი;

2. თსას-ის ფაკულტეტის დეკანი ინიშნება და თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან თსას-ის რექტორის მიერ;
3. თსას-ის ფაკულტეტის დეკანი არის სამეცნიერო საბჭოს წევრი.

მუხლი 10. ფაკულტეტის დეკანის უფლებამოსილებები

1. ფაკულტეტის დეკანი

ა) თავისი საქმიანობით ანგარიშვალდებულია თსას-ის პრორექტორისა (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) და რექტორის წინაშე;

ბ) უზრუნველყოფს ფაკულტეტზე სასწავლო-საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ეფექტურ და შეუფერხებელ მიმდინარეობას, ამ მიზნით ხელმძღვანელობს სასწავლო-აღმზრდელობითსა და სასწავლო-მეთოდურ მუშაობას;

გ) აკადემიური პროგრამებისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს აკადემიური პროგრამებისა და სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს და განსაზღვრავს მათი განხორციელების წესსა და ვადას. შეიმუშავებს პროგრამებისა და სილაბუსების შეფასების წესსა და ინსტრუმენტებს; იკვლევს სტუდენტისეულ შეფასებას როგორც პროგრამის, ასევე საგნის სწავლების ჭრილში; განსაზღვრავს პროგრამით გათვალისწინებული საგანმა-ნათლებლო რესურსების შეფასების წესსა და მექანიზმებს; შეისწავლის კურსდამთავრებულთა სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების მაჩვენებლებს, უზრუნველყოფს დამსაქმებლის ჩართულობას პროგრამების განვითარებისა და სტუდენტთა სწავლის შედეგების განსაზღვრის მიზნით და სხვა;

დ) შეიმუშავებს და ფაკულტეტის საბჭოს განსახილველად წარუდგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების პროექტს;

ე) უზრუნველყოფს სტუდენტისა და აკადემიური პერსონალის რეესტრის წარმოებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ინფორმაციის დროულად მიწოდებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის;

ვ) უზრუნველყოფს დიპლომების, დიპლომების დანართებისა და კვალიფიკაციის მიმნიჭებელი ოქმების დროულად მიწოდებას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის;

ზ) უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში სილაბუსების დროულად მიწოდებას აღნიშნული სამსახურისათვის;

თ) უზრუნველყოფს ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან ფუნქციონირებას;

ი) ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ახორციელებს პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების მონიტორინგსა და შეფასებას, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების, პედაგოგთა მიერ ლექციების ჩატარებისა და სტუდენტთა ლექციებზე დასწრების შემოწმებას, სტუდენტთა პრაქტიკის ორგანიზებასა და სახელოსნოებში სპეციალიზებული ჯგუფების მუშაობის წარმართვას, გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს და უზრუნველყოფს მათში სტუდენტების მონაწილეობას;

კ) ხარისხის გაუმჯობესების მიზნით სასწავლო პროცესის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავებას;

ლ) აწყობს რეგულარულ შეხვედრებს სტუდენტებთან, განუმარტავს მოქმედ წესებს და აცნობს აკადემიურ მოსწრებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

მ) აღრიცხავს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, განსაზღვრავს გამოცდების განრიგს ზედამხედველობს საგამოცდო დავალებების (ტესტების, ბილეთების) დროულად შედგენას ;

ნ) უზრუნველყოფს პროფესორ-მასწავლებელთა მიერ აკადემიური ჯგუფების მიხედვით ჩატარებული მუშაობის (შუალედური გამოცდები, დასკვნითი გამოცდები) დამადასტურებელი დოკუმენტაციის შეგროვებასა და შენახვას;

ო) უზრუნველყოფს კონტროლს სასწავლო გეგმების, პროგრამების შესრულებასა და სასწავლო კურსების, სილაბუსების დროულად წარმოდგენაზე.

პ) საჭიროების შემთხვევაში - ლექციიდან სტუდენტთა დროებითი გათავისუფლებისა და სტატუსის შეჩერების შესახებ ინფორმაციას

გადაწყვეტილების მისაღებად აწვდის პრორექტორს სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებებისა და თსას-ის სამართლებრივი აქტების შესრულებას;

რ) თავმჯდომარეობს ფაკულტეტის საბჭოს სხდომებს;

ს) პასუხისმგებელია ფაკულტეტის ბიუჯეტის მიზნობრივ გამოყენებაზე;

ტ) თსას-ის შიდამარეგულირებელი სამართლებრივი აქტებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

უ) ასრულებს თსას-ის რექტორისა და პრორექტორის (სასწავლო და ადმინისტრაციულ დარგში) ცალკეულ დავალებებს.

2. ფაკულტეტისა და სასწავლებლის ინტერესებიდან გამომდინარე, დეკანისათვის სამუშაო ადგილის (მივლინება) და შვებულების მიცემის გადაწყვეტილებას იღებს რექტორი, რაც ფორმდება რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. დეკანის თანაშემწე და ფაკულტეტის დამხმარე პერსონალი

1. დეკანს ჰყავს თანაშემწე, რომელიც ექვემდებარება დეკანს და დახმარებას უწევს მას საქმიანობის დროულად და ეფექტურად განხორციელებაში;
2. დეკანის თანაშემწის ძირითადი ფუნქციები მოიცავს სასწავლო პროცესის ორგანიზების უზრუნველყოფას, სტუდენტთა ბაზის სრულყოფის მიზნით კანონით განსაზღვრული ინფორმაციის დამუშავებას და დადგენილ ვადაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისათვის მიწოდებას, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) დანართის, სტუდენტთა და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეების წარმოებას, სასწავლო პროცესებთან

დაკავშირებით სტუდენტთა ინფორმირებასა და ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა მოვალეობების შესრულებას;

3. ფაკულტეტის საშტატო პერსონალის ზუსტი ოდენობა და თანამდებობათა დასახელებები განისაზღვრება თსას-ის საშტატო განრიგით;

ფაკულტეტის სხვა დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები, ფაკულტეტის ფუნქციებიდან გამომდინარე, რეგულირდება პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით.

მუხლი 12. სულიერი მოძღვარი, სულიერი მოძღვრის თანაშემწე

1. თსას-ის სულიერი მოძღვარი არის საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის მღვდელმსახური უმაღლესი საღვთისმეტყველო განათლებით;

2. თსას-ის სულიერი მოძღვარი ინიშნება და თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან თსას-ის რექტორის ბრძანებით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან შეთანხმებით;
3. თსას-ის სულიერი მოძღვარი არის შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოსა და სამეცნიერო საბჭოს წევრი;
4. თსას-ის სულიერი მოძღვარი კარგად უნდა იცნობდეს სტუდენტთა პირად ცხოვრებას.
5. თსას-ის სულიერი მოძღვარი

   ა) ზედამხედველობას უწევს სტუდენტთა ეკლესიურ ცხოვრებას და, შესაბამისად, ვალდებულია, პირადად იცნობდეს ყველა სტუდენტს, კომუნიკაცია ჰქონდეს მათ სულიერ მოძღვრებთან;

   ბ) ამოწმებს თსას-ის საერთო საცხოვრებელში (პანსიონში) მცხოვრებ სტუდენტთა მიერ შინაგანაწესის დაცვას. შინაგანაწესისა

და ქრისტიანული ზნეობის პრინციპების დარღვევის შემთხვევაში იღებს შესაბამის ზომებს;

გ) იღვწის სტუდენტთა სულიერი ცხოვრების სრულყოფისათვის;

დ) მონაწილეობს საზაფხულო პრაქტიკის ორგანიზებაში;

ე) ადგენს წმინდა ადგილების მოლოცვის წლიურ გეგმებს და ზრუნავს მათს შესრულებაზე;

ვ) თავის მოვალეობას ასრულებს რექტორთან შეთანხმებით;

ზ) ასრულებს თსას-ის რექტორის ცალკეულ დავალებებს.

6. **თსას-ის სულიერი მოძღვრის თანაშემწე**

ა) ასრულებს სულიერი მოძღვრის დავალებებს;

ბ) თსას-ის სულიერი მოძღვრის თანაშემწე ინიშნება და თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან თსას-ის რექტორის მიერ.

მუხლი 13. აკადემიური პერსონალი

1. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი შესაძლებელია შედგებოდეს პროფესორისაგან, ასოცირებული პროფესორისაგან, ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტისაგან;

2. პროფესორები მონაწილეობენ სასწავლო პროცესსა და მეცნიერულ კვლევებში ან/და წარმართავენ მას;

3. ასისტენტი პროფესორების ხელმძღვანელობით ახორციელებს სასემინარო და კვლევით სამუშაოებს ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო პროცესის ფარგლებში;

4. აკადემიურ პერსონალთან შრომითი ხელშეკრულება იდება თსას–ის აკადემიური თანამდებობის სამსახურში მიღების ერთიანი წესით;

5. აკადემიური თანამდებობის დაკავებისა და გათავისუფლების წესი და პირობები, თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ასევე აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დადგენილი წესისა და თსას-ის რექტორის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

მუხლი 14. ადმინისტრაციული პერსონალი

1. ფაკულტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს მიეკუთვნება დეკანი, ხოლო კათედრაზე - კათედრის გამგე;

2. ადმინისტრაციული თანამდებობის პირებს ნიშნავს და ათავისუფლებს რექტორი.

მუხლი 15. დამხმარე პერსონალი

ფაკულტეტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნებიან ფაკულტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო სხვა პირები.

თავი V. კათედრები

მუხლი 16. კათედრები და მათი სტრუქტურა

1. თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის შემადგენ-ლობაში კათედრა წარმოადგენს სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც ექვემდებარება თსას-ის პრორექტორს სამეცნიერო დარგში;

2. კათედრა თავის საქმიანობას წარმართავს ამ დებულებითა და თსას-ის სხვა შიდამარეგულირებელი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

3. თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ფუნქციონირებს შემდეგი კათედრები:

ა) ბიბლეისტიკის კათედრა;

ბ) ლიტურგიკისა და სამოძღვრო ღვთისმეტყველების კათედრა;

გ) კანონიკური სამართლის კათედრა;

დ) ეკლესიის ისტორიის, პატრისტიკისა და დოგმატიკის კათედრა;

ე) ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა;

ვ) საქართველოს ისტორიის კათედრა;

ზ) უცხო ენების კათედრა;

თ) ქრისტიანული ფსიქოლოგიის კათედრა;

ი) ქრისტიანული ხელოვნებათმცოდნეობის კათედრა;

კ) ხატწერისა და რესტავრაციის კათედრა;

ლ) საეკლესიო არქიტექტურის (ხუროთმოძღვრების) კათედრა.

მუხლი 17. კათედრების მუშაობის ძირითადი პრინციპები

1. კათედრის მუშაობის ძირითადი პრინციპებია:

ა) სტუდენტის განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების სისტემის შექმნისა და დანერგვის ხელშეწყობა;

ბ) სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვის მიზნით სწავლების კოორდინაცია და რეკომენდაციების შემუშავება;

გ) მეთოდური და ორიგინალური სახელმძღვანელოების შექმნა, სასწავლო რესურსების შერჩევა და ბიბლიოთეკისათვის საჭირო წიგნადი ფონდის შესახებ რეკომენდაციების შემუშავება;

დ) მინიმალური შემაჯამებელი დავალებების რაოდენობებისა და შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა;

2. კათედრის სხდომა ტარდება მინიმუმ თვეში ერთხელ. კათედრის სხდომაში მონაწილეობენ კათედრის თანამშრომლები;

3. კათედრის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3. სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ხმების

თანაბარი რაოდენობით გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია კათედრის გამგის ხმა.

მუხლი 18. კათედრის გამგე და ლაბორატორიის გამგე

1. თსას-ის კათედრის გამგე შეიძლება იყოს დოქტორის შესაბამისი აკადემიური ხარისხის მქონე, სასულიერო ან საერო პირი, აღმსარებლობით მართლმადიდებელი. ამ წესიდან გამონაკლისს ადგენს თსას-ის რექტორი;
2. თსას-ის კათედრის გამგე და თსას-ის ლაბორატორიის გამგე ინიშნება და თავისუფლდება დაკავებული თანამდებობიდან თსას-ის რექტორის მიერ.

მუხლი 19. კათედრის გამგე და მისი ფუნქციები

კათედრის გამგის ფუნქციებია:
ა) კათედრაზე სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უშუალო ხელმძღვანელობა;
ბ) შესაბამისი დისციპლინებისათვის საჭირო პროგრამების, სალექციო კურსების, მეთოდური ლიტერატურის, სახელმძღვანელოების შედგენის ორგანიზება;
გ) სამეცნიერო-თეოლოგიური კონფერენციების, სემინარების პერიოდული მოწყობა, ცნობილ მეცნიერთა და ღვთისმეტყველთა მოწვევა ლექციების წასაკითხად;
დ) თანამშრომლობა ადგილობრივ და საზღვარგარეთის მართლმადიდებლურ სასულიერო სასწავლებლებთან ერთობლივ ღონისძიებათა განსახორციელებლად;
ე) ლექციებზე პერიოდული დასწრება სწავლისა და სწავლების ხარისხის შემოწმების მიზნით;
ვ) სილაბუსების ფაკულტეტის დეკანისათვის წარდგენის უზრუნველყოფა სასწავლო პროცესის დაწყებამდე გონივრულ ვადაში;

ზ) საგამოცდო საკითხების, საგამოცდო ბილეთების, საკურსო და სადიპლომო თემების დროულად შედგენისა და ფაკულტეტის დეკანისათვის მისი წარდგენის უზრუნველყოფა;
თ) თსას-ის რექტორისა და პრორექტორის (სამეცნიერო დარგში) ცალკეული დავალებების შესრულება.

კათედრის დამხმარე პერსონალის უფლება-მოვალეობები რეგულირდება რექტორის ცალკეული ბრძანების საფუძველზე დადებული ხელშეკრულებით.

თავი VI. სტუდენტი

მუხლი 20. ფაკულტეტის სტუდენტი

1. ფაკულტეტის სტუდენტი არის პირი, რომელიც თსას-ის მარეგულირებელი აქტებისა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა და სწავლობს შესაბამისი საფეხურის აკადემიურ პროგრამაზე;

2.საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვის წესი განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და თსას-ის რექტორის მიერ დამტკიცებული სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

თავი VII. ფაკულტეტის ბიუჯეტი და ფინანსები

მუხლი 21. ფაკულტეტის ბიუჯეტი

1. ფაკულტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს თსას-ს ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს.

თავი VIII. ცვლილებები და დამატებები

მუხლი 22. ფაკულტეტებისა და კათედრების დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

1. ფაკულტეტებისა და კათედრების დებულებას დეკანის წარდგინებით განიხილავს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭო და თსას-ის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე ამტკიცებს რექტორი;

2. აღნიშნული დებულების მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებისა და დამატების შეტანა ხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით.

თავი IX. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 23. ფაკულტეტებისა და კათედრების დებულების მიღება და ამოქმედება

1. ფაკულტეტებისა და კათედრების დებულება ამოქმედდეს თსას–ის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე რექტორის მიერ მისი დამტკიცებისთანავე.